

შპს სიმეტრა
ს/კ: 204567174

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის



სარჩევი

ზოგადი მონაცემები საზოგადოების შესახებ	3
საზოგადოების საადრიცხვო პოლიტიკა	3
კომენტარები ფინანსურ ანგარიშგებაზე	7
დანართი #1 - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	12
დანართი #2 - კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	13
დანართი #3 - მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	13
დანართი #4 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება	14

1. ზოგადი მონაცემები საზოგადოების შესახებ

ზოგადი მონაცემები საზოგადოების შესახებ

საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა – შპს, რომელიც რეგისტრირებულია 08.04.2009 წელს, მარეგისტრირებელი ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს ს/ნ 204567174, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ულიანოვის ქ. N29. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების ქაღალდის ნაწარმის წარმოება.

კომპანიის მესაკუთრეები არიან:

ზაზა გაიაშვილი (პ.ნ. 01024016860) - 49%

გიორგი ტყემელაშვილი (პ.ნ. 01017003865) – 49%

ბექა სიხარულიძე (პ.ნ. 01019069277) – 2%

2. საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, ფიქსირებული აქტივების ისტორიულ ღირებულებაზე დაყრდნობით. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულ - ლარში. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს საქართველოს კანონის

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების“ შესახებ მოთხოვნათა შესაბამისად.

საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფიქსირდება ოპერაციის მოხდენის დღისათვის არსებული ოფიციალური კურსით ლარში. სავალუტო პოზიციების მიხედვით წარმოქმნილი კურსთა შორის სხვაობა აისახება ფინანსურ შედეგებზე.

დებიტორული დავალიანება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დებიტორული დავალიანება (მოთხოვნები) აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ფასს, მონტაჟის, ტრანსპორტირების და სხვა პირდაპირ ხარჯებს.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან/საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიეწოდება და მასზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებასა ან ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის

შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ-პროგრამულ უზრუნველყოფასა და ბრენდირებასთან დაკავშირებულ მომსახურების მიღებას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივის ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კვალიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახადები აისახება მოგებასა ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასი, შენატანი საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურება, ბონუსი და არაფულადი სარგებელი აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი მომსახურების მიღება თანამშრომლების მიერ.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან, დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როცა გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნებში.

შემოსავლები და ხარჯები

საზოგადოება მუშაობს დარიცხვის მეთოდით, სადაც შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა მომსახურება გაწეული, მიუხედავად მის სანაცვლოდ ფულადი სახსრებისა ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა.

შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მათი წყაროების მიხედვით; ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;

წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება: დივიდენდების გასაცემად და სხვა მიზნით.

3. კომენტარები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ახსნა-განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

(იხ. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

ფულადი სახსრები (სალარო)

საწარმოში შემოსული და გაცემული ნაღდი ფული აღირიცხება საბუღალტრო პროგრამაში. სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები გამოწერილია სწორად, რომელსაც თან ახლავს დამადასტურებელი დოკუმენტები, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სალაროს ნაშთი არის 2543 ლარი.

საბანკო ანგარიშები

საბანკო ანგარიშებზე, ეროვნულ ვალუტაში რიცხული ფულადი სახსრების ამსახველი ანგარიშები წარმოებულია სწორად, საბანკო ამონაწერებისა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ანგარიშები გახსნილი აქვს სს „პროგრედიტ ბანკში“, სს „საქართველოს ბანკში“ და სს „თიბისი ბანკში“. საერთო ფულადი თანხა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 7214 ლარს.

დასახელება	ნაშთი 30.06.2022
სს პროგრედიტ ბანკი	2275
სს საქართველოს ბანკი	1938
სს თიბისი ბანკში	3001

მიმდინარე აქტივები

საწარმოს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომწოდებელზე გადახდილი ავანსი შეადგენს 94740 ლარს.

ნედლეულისა და სასაქონლო მატერიალური მარაგები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნედლეულისა და სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთი შეადგენს 711285 ლარს:

დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 30.06.2022
საქონელი	67335	77609
ნედლეული და მასალები	343064	519632
მზა პროდუქცია	71171	80596
საწვავი	8919	5886
სხვა	20635	27562
	511124	711285

გრძელვადიანი აქტივები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 1004632 ლარს, მათ შორის:

- მანქანა-დანადგარები - 576776 ლარი
- ოფისის აღჭ., კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი და ინვენტარი - 82727 ლარი
- სატრანსპორტო საშუალებები - 231420 ლარი
- სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები - 113709 ლარი

დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 30.06.2022
ძირითადი საშუალებები	1635984	1670250
ძირითადი საშუალებების ცვეთა	-506625	-665618
	1129359	1004632

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 51043 ლარს.

დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2022
არამატერიალური აქტივები	81998	84036
არამატერიალური აქტივების ცვეთა	-24813	-32993
	57185	51043

გაცემული ავანსები

საწარმოს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომწოდებელზე გადახდილი ავანსი შეადგენს 94740 ლარს.

დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2022
გაცემული ავანსები	94740	94740

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1699423 ლარს.

დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1746705	1699423

მიმდინარე ვალდებულებები

მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მიმდინარე ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1052389 ლარს.

დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2022
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	896575	1052389

გადასახდელი ხელფასები შეადგენს 84712 ლარს.

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1442380 ლარს.

დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2022
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1472282	1442380

მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 86836 ლარს.

დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2022
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	125488	86836

გადასახდელი სესხის პროცენტები

გადასახდელი პროცენტები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 0 ლარს.

დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2022
გადასახდელი პროცენტები (ბანკის სესხზე)	0	0

საგადასახადო ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულებები შეადგენს 141556 ლარს, მათ შორის:

- სსიპ საპენსიო სააგენტო - 4267 ლარს;
- ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 101001000 – 137711 ლარს;
- ქონების გადასახადი - (422) ლარს.

საკუთარი კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი საკუთარი კაპიტალი შეადგენს 741825 ლარს, მათ შორის:

- საწესდებო კაპიტალი - 0 ლარს;
- გაუნაწილებელი მოგება - 741825 ლარს.

ახსნა-განმარტებები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე

(იხ. მოგება ზარალის დანართი)

შემოსავლები

ფინანსური კუთხით 2022 წელს მიწოდებიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 7210159 ლარი, მათ შორის:

- შემოსავლები რეალიზაციიდან - 7062655 ლარი
- სხვა არასაოპერციო შემოსავალი - 77764 ლარი
- უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან/სავალუტო სახსრების გადაფასებიდან - 69740 ლარი
-

ხარჯები

საზოგადოების მთლიანმა დანახარჯებმა შეადგინა 7107905 ლარი. დანახარჯებიდან ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაზე - 50%, შრომის ანაზღაურებაზე - 19%, ქეშბექსა და მარკეტინგულ ხარჯზე - 10% და საპროცენტო ხარჯებზე - 3%, საწვავის ხარჯზე - 5%, ხოლო სხვა ხარჯებზე - 14%.

2022 წლის მოგების გადასახადმა შეადგინა - 9436 ლარი

2022 წლის წმინდა მოგებამ შეადგინა 92818 ლარი.

ახსნა-განმარტებები ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისზე (იხ. დანართი #4) ფულადი ნაკადების მოძრაობა.

2022 წლის ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი თანხა შეადგენს 7644240 ლარს, ფულადმა გასავალმა შეადგინა 7652475 ლარი, 2022 წლის საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის საზოგადოების ფულადი სახსრები შეადგენდა 17992 ლარს, ხოლო პერიოდის ბოლოსათვის შეადგინა 9757 ლარი.

დანართი #1

შპს სიმეტრა
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

	31.12.2022	31.12.2021
მიმდინარე აქტივები:		
ფულადი სახსრები	9757	17992
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	0	13
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	98137	98035
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1699423	1746705
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	711285	511123
მიმდინარე აქტივები, ჯამი:	2518602	2373868
გრძელვადიანი აქტივები:		
ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება	1004632	1129359
არამატერიალური აქტივები	51043	57185
სულ გრძელვადიანი აქტივები:	1055675	1186544
სულ აქტივები	3574277	3560412
მიმდინარე ვალდებულებები:		
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი	1052389	901902
სასესხო ვალდებულებები	1529216	1597770
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები	84712	75365
საგადასახადო ვალდებულებები	166135	145313
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები:	2832452	2720350
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	0	143,952
გაუნაწილებელი მოგება	696,110	418,590
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)	92818	277,520
განაწილებული დივიდენდი	47103	
მთლიანი საკუთარი კაპიტალი:	741825	840,062
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი:	3574277	3,560,412

დანართი #2

შპს სიმეტრა
 2022 წლის კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
საწესდებო კაპიტალი	0	143,952
გაუნაწილებელი მოგება	696110	418590
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	92818	277520
განაწილებული მოგება დივიდენდი	47103	0
სულ კაპიტალი	741825	840062

დანართი #3

შპს სიმეტრა
 2022 წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

	2022	2021
შემოსავალი	7102586	7,981,008
შემოსავლები რეალიზაციიდან	7,062,655	7,833,835
სხვა შემოსავალი	39,931	147,173
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	-7,000,332	-7,390,933
ქეშბეჭი, მარკეტინგული ხარჯი	-844,496	-738,120
თვითღირებულება	-3,600,273	-4,193,795
ხელფასის, მივლინების და საპენსიო ხარჯი	-1,232,186	-1,546,085
რემონტის და საწარმოო ხარჯები	-56,201	-59,426
ავტოპარკის და საწვავის ხარჯი	-450,418	-361,842
იჯარის, დაცვის, კომ. ხარჯი	-192,936	-242,631
საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი	-41,457	-48,021
დაზღვევის ხარჯი	-43,345	-71,282
სხვა საერთო ხარჯები	-183,365	-129,731
არასაოპერაციო მოგება/ზარალი	-355,655	- 311,324
მოგების გადასახადის ხარჯი	-9436	-1,230
წმინდა მოგება	92818	277,521

შპს სიმეტრა
 2022 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	<u>2022</u>
ფულის ნაშთი წლის დასაწყისში	17,992
ფულის შემოსავალი	
შემოსავალი რეალიზაციიდან	7,583,938
სხვა შემოსავალი	60,302
ფულის შემოსავალი, ჯამი:	7,644,240
ფულის გასავალი	
მომწოდებლებზე გადახდილი თანხა	-3,561,146
ნედლეულის ჩამოტანა	-217,670
ხელფასები და მივლინება	-1,078,926
ბიუჯეტი და ბანკის საკომისიო	-1,262,936
დაზღვევა	-78,606
წარმოება და სამეურნეო	-83,095
ავტოპარკი და შენობის შენახვა	-548,815
მარკეტინგი	-11,800
საიჯარო ქირა	-167,728
კომუნალური და საკომუნიკაციო	-81,185
სხვა გადახდები	-76,040
ფულის გასავალი საოპერაციო, ჯამი:	-7,167,946
ფულის მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:	-458,028
ფულის მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:	-26,501
ფულის ნაშთი წლის ბოლოს	9,757